

საიდ. №75493/03

IR 1187012

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №46-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა.“ (JT International S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №46-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №309/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BLENDID“ (საიდ. №75493/03, IR 1187012) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 12 იანვრის №309/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს „Blendid“ არა აქვს განმასხვავებლობა განცხადებული საქონლის მიმართ, ვინაიდან ფონეტიკურად და ვიზუალურად ჰგავს სიტყვას „Blended“, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც „შერეული, კუპაჟირებული“ და მიუთითებს საქონლის თვისებებზე და ხარისხზე. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჯეითი ინტერნეშენლ ს.ა.“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, საქართველოში გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი “BLENDID” (IR 1187012) წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას, მას არ გააჩნია რაიმე მნიშვნელობა და შესაბამისად, არ არის შეტანილი არც ერთ ლექსიკონში. სწორედ ამიტომ, ფანტაზიური სიტყვა “BLENDID” არ მიუთითებს საქონლის ხარისხზე და თვისებაზე. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“. აპელანტის პოზიციით, არ არსებობს არანაირი იურიდიული საფუძველი, რომ ფანტაზიური სიტყვა,

რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელობა არცერთ ენაზე და არ არის შეტანილი ლექსიკონში მიჩნეულ იქნეს აღწერილობითად, რომელიმე საქონლის მიმართ, ან ჩაითვალოს, რომ ის მიუთითებს საქონლის თვისებაზე ან ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აპელანტი მიიჩნევს, რომ გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი განმასხვავებელუნარიანია. აპელანტის განმარტებით, იდენტური სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია შვეიცარიაში. განცხადებული ნიშანი უკვე გავრცელდა ბელარუსიაში, ჩინეთში, ევროკავშირში, ისლანდიაში, ყირგიზეთში, კორეაში, ყაზახეთში, მაროკოში, მოლდოვაში, მონტენეგროში, ფილიპინებში, სერბეთში, სინგაპურში, უკრაინასა და ვიეტნამში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №309/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BLENDID“ (საიდ. №75493/03, IR 1187012) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების,

გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „BLENDID“ არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით ნიშანს 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. კოლეგიის აზრით, ნიშანი „BLENDID“ წარმოადგენს ფანტაზიურ სიმბოლოს 34-ე კლასის საქონლის მიმართ, ვინაიდან ინგლისურ ენაზე სიტყვას „BLENDID“, ამგვარი ასოთაწყობით, არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ფონეტიკურად მართალია, მსგავსია ინგლისურ ენაში არსებული სიტყვისა „BLENDED“, რომელიც ქართულად „შერეულს“, „ნარევს“ ნიშნავს, მაგრამ თამბაქოს ინდუსტრიაში ტერმინი „BLENDED“ არ გამოიყენება, როგორც საქონლის ხარისხის, თვისების ან სხვა რაიმე მახასიათებლის აღსანიშნავად, როგორც მაგალითად მსგავსი ტერმინი ალკოჰოლური სასმელების, „ვისკის“ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ტერმინი „BLENDED WHISKY“, რაც გულისხმობს სახვადასხვა სახეობის „ვისკის“ ნარევს (კუპაჟირებული ვისკი). შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს განმასხვავებელუნარიან სიმბოლოს 34-ე კლასის საქონლის მიმართ და იგი არ წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „BLENDID“ (საიდ. №75493/03, IR 1187012) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა.“ (JT International S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ N309/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს BLENDID” (საიდ. №75493/03, IR 1187012) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

მ. ჭიჭინაძე